



დასაქმების
ხელშეწყობის
სახელმწიფო
სააგენტო

საქართველოში მოქმედ დიდი და მცირე ზომის ტელევიზიებში ჩატარებული კვლევის შედეგები

2022


შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ განხორციელებულ შრომის ბაზარზე კონკრეტული მოთხოვნადი ან/და დეფიციტური პროფესიების ჭრილში საკვალიფიკაციო მოთხოვნების და შესაბამისი მიწოდების იდენტიფიცირების მიზნით ჩატარებულ კვლევას საქართველოში მოქმედ დიდ და მცირე ზომის ტელევიზიებში.

კვლევის მიზანი:

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს მიერ შრომის ბაზარზე ვაკანსიების მონიტორინგის განხორციელება რამდენიმე მნიშვნელოვან მიზანს უკავშირდება. კერძოდ, რეგიონულ დონეზე ვაკანსიების დინამიკისა და შრომითი რესურსების საჭიროების შესწავლა. ასევე, ძირითადი მიმართულებებია, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი და დეფიციტური პროფესიების იდენტიფიცირება, სხვადასხვა ეკონომიკურ სექტორში მოსალოდნელი ცვლილებებისა და დამსაქმებლების მხრიდან სამომავლოდ დაგეგმილი აქტივობების განსაზღვრა და დამსაქმებლების მხრიდან მოთხოვნილი კვალიფიკაციის, უნარებისა და კონპეტენციების დადგენა.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა დაგვედგინა:



- საქართველოში მოქმედ ტელევიზიებში გამოვლენილი არსებული ტექნიკური პროფესიების ჩამონათვალი, რომლებზეც ტელევიზიები ისურვებდნენ არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას / გადამზადებას.
- საქართველოში მოქმედ ტელევიზიებს დაეფიქსირებინათ, ჯამურად რამდენი თანამშრომლის გადამზადებას ისურვებდნენ ზემოთ შერჩეული პროფესიების მიხედვით.
- საქართველოში მოქმედი ტელევიზიები, რომელი დარგის ან დარგების ტექნიკური პერსონალის ნაკლებობას განიცდიან.
- საქართველოში მოქმედი ტელევიზიების აზრით, ჯამურად რამდენი ახალი კვალიფიციური კადრის აყვანას აპირებენ ზემოთ ჩამოთვლილი დარგის ან დარგების მიხედვით.
- საქართველოში მოქმედი ტელევიზიების აზრით, ზოგადად საქართველოში (და არა მათ კონკრეტულ ტელევიზიაში), რა დარგის ან დარგების ტექნიკური პერსონალის ნაკლებობა არის ბაზარზე.

მეთოდოლოგია

გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონული ფორმატით, ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით, რომელიც ძირითადად შედგებოდა დახურული და ღია კითხვებისაგან.

დამსაქმებლებს კითხვარი გაეგზავნათ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, რის შემდგომაც მოხდა რეგიონული წარმომადგენლების მხრიდან დამსაქმებლებთან დაკავშირება.

ყოველ შევსებულ ფორმაში მითითებულია ისეთი პარამეტრები, როგორცაა:


- ორგანიზაციის დასახელება;
- აპლიკანტის სახელი და გვარი;
- თანამდებობა მითითებულ ორგანიზაციაში;
- ელექტრონული ფოსტის მისამართი;
- საქმიანობის სფერო და ბიზნეს სუბიექტების ზომის მიხედვით (მსხვილი, საშუალო, მცირე).

კვლევის შედეგები

საქართველოში დღეის მდგომარეობით, მოღვაწეობს 65-მდე აქტიური ტელეარხი (ტელევიზია). ეს მოიცავს როგორც რეგიონალურ, ასევე თბილისში მდებარე ტელევიზიებს, ასევე სახელმწიფო და კერძო არხებს. ტელევიზიები შეგვიძლია დავყოთ ორ ძირითად ჯგუფად: მსხვილი და მცირე ზომის ტელევიზიები.

საქართველოში მოღვაწეობს 9-მდე მსხვილი და 56-მდე მცირე ზომის ტელევიზია.

ზომის მიხედვით: გამოკითხული ორგანიზაციების 3% მცირეა, ხოლო 66 % მსხვილი.



ეკონომიკური საქმიანობის კლასიფიკაციის შესაბამისად (NACE Rev. 2) გამოიკვეთა სამი ძირითადი ეკონომიკური აქტივობის სფერო:

- ტელესაკომუნიკაციო საქმიანობა, ახალი ამბების სააგენტოების საქმიანობა;
- სატელევიზიო პროგრამების შექმნის და ტელემაუწყებლობის საქმიანობა;
- სადენიანი ტელესაკომუნიკაციო საქმიანობა.

იხ. საქართველოში მოღვაწე სამაუწყებლო ორგანიზაციების ჩამონათვალი

მსხვილი ზომის ტელევიზიები


- Euronews Georgia
- TV პირველი
- პალიტრა ნიუსი
- აჭარა TV
- რუსთავი 2
- იმედი
- პირველი არხი
- მთავარი არხი
- ფორმულა

მცირე ზომის ტელევიზიები

- | | | | |
|----------------|---------------|------------------|--------------|
| მეესტრო | - GMC | - იმერვიზია | - მარაო |
| პირველი | - ჰულსი TV | - დია | - ჭადრაკი |
| არხი/ტელესკოლა | - რიონი | - Starvision | TV |
| TV მონიტორინგი | - TV25 | - O2 | - აგროგარემ |
| BMG | - თრიალეთი | - ალტ-ინფო | ო TV |
| Meteo 24 | - TV 4 | - SILKTV package | GMS |
| პოსTV | - გირჩი ტივი | - დარდიმანდი | ჯიემტივი |
| კავკასია | - ობიექტივი | - Mall TV | - Georgian |
| აფხაზეთის ხმა | - 1 სტერეო | - ტვ 24 | Times |
| ერთსულოვნება | - მეხუთე არხი | - ოდიში | - არგო TV |
| ქართული არხი | - PK TV | - გურია ტვ | - Green TV - |
| არტარეა | - მეგა TV | - L TV | ჩხენკელი |
| აგრო ტვ | - გურჯაანი ტვ | - ტვ თანამგზავრი | ტვ |
| | - სამეფო არხი | - GDS | საფერავი |
| | - Stereo + | - კომედი არხი | - ტოკ ტვ |
| | - ქართული | | - Batumi TV |
| | TV | | - სდასუ TV |

გამოკითხვის პირველი ნაწილი მიმართული იყო რომ გაგვეგო, თუ კონკრეტულად რომელ ტექნიკურ პოზიციებზე განიცდიან დეფიციტს, როგორც არსებული ტექნიკური პერსონალის გადამზადების საჭიროების თვალსაზრისით, ასევე ახალი კადრების დეფიციტის კუთხით.


თქვენს ტელევიზიაში, ჩამოთვლილთაგან რომელი დარგის ან დარგების სპეციალისტებს გადამზადება / კვალიფიკაციის ამაღლებას ისურვებდით? -



კითხვაზე - რომელ სპეციალობებზე ისურვებდნენ თანამშრომელთა გადამზადებას, თითქმის ყველა რესპონდენტმა გამოთქვა გადამზადების სურვილი - „ვიდეო პულტის ინჟინრის“ და „სატელევიზიო გრაფიკული დიზაინერი“-ს სპეციალობებზე.

ჩამოთვლილი პროფესიებიდან რომელი დარგის სპეციალისტის ნაკლებობას განიცდიან ორგანიზაციები - მათგან 77% აღნიშნა, რომ „ვიდეო პულტის ინჟინრის“, „სატელევიზიო გრაფიკული დიზაინერი“-ს და „საეთერო გამშვები სისტემის ოპერატორი“-ს პროფესიაში აქვთ კვალიფიციური კადრის ნაკლებობა.

თქვენს ტელევიზიაში, ჩამოთვლილთაგან რომელი დარგის ან დარგების ნაკლებობას განიცდით?



კვლევაში ფიქსირდება მოთხოვნა შემდეგ პროფესიებზე (როგორც არსებულის გადამზადების, ასევე ახალი კადრების აყვანის მხრივ).


- საეთერო გამშვები სისტემების ინჟინერი სპეციალისტ ოპერატორი.
- სტუდიური ოპერატორი (ვიდეო კამერა / კრანი / სლაიდერი)
- ვიდეო მემონტაჟე - სამაუწყებლო.
- სამაუწყებლო ვირტუალური სისტემების და აუგმენტური რეალობის სისტემების ინჟინერი სპეციალისტ ოპერატორი.
- სამაუწყებლო ვირტუალური სისტემების და აუგმენტური რეალობის სისტემების დიზაინერი.
- ვიდეო პულტის ინჟინერი სპეციალისტ ოპერატორი.
- სატელევიზიო გრაფიკული გამშვები სისტემების ინჟინერი სპეციალისტ ოპერატორი.
- სატელევიზიო გრაფიკული სისტემების დიზაინერი.
- სატელევიზიო MAM/PAM/NRCS სისტემების ინჟინერი სპეციალისტ ოპერატორი.
- სამაუწყებლო უსაფრთხოების სისტემების სპეციალისტი.

გამოკითხვით დგინდება, რომ დღეის მდგომარეობით, კვალიფიციური კადრის არსებობის შემთხვევაში, ტელევიზიები მზად არიან, აიყვანონ სამსახურში ათეულობით ახალი თანამშრომელი.

გამოკითხული 9 ორგანიზაციიდან, ახალ კვალიფიციურ კადრს თავის ტელევიზიაში ისურვებდა - 77%. მათ განაცხადეს, რომ მზად არიან საშუალოდ 10-20 სპეციალისტი დაასაქმონ მოთხოვნად პროფესიებზე.

თქვენს ტელევიზიაში, ჯამურად რამდენი ადამიანის გადამზადებას ისურვებდით (თქვენს მიერ არჩეული ყველა დარგის, ჯამური რაოდენობის გათვალისწინებით)?

*



ანალიზი

კვლევის შედეგად ვლინდება, რომ გამოკითხული 9 ტელევიზიიდან მინიმუმ 120 და მაქსიმუმ 185 ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებს/ტექნიკურ პერსონალს ესაჭიროება გადამზადება.

ასევე მინიმუმ 75 და მაქსიმუმ 145 ახალი ტექნიკური პერსონალი ესაჭიროებათ ტელევიზიებს.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში არის 65-მდე მოქმედი ტელეარხი (ტელევიზია), აგრეთვე, არაერთი კერძო ვიდეო გადაღების კომპანიები და სხვა კერძო ორგანიზაციები, რომლებიც იყენებენ კვლევაში მოყვანილ პროფესიებს, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პოტენციური დასაქმების ბაზარი, 200-დან 400-მდე არსებული კადრის (ტექნიკური პერსონალი) გადამზადებას და 140-დან 220-მდე ახალი კადრის აყვანას საჭიროებს.

კვლევის შედეგებმა გვაჩვენა, რომ საქართველოში მოღვაწე ტელევიზიები განიცდიან კვალიფიციური ტექნიკური პერსონალის ნაკლებობას.

აგრეთვე გამოჩნდა ის პროფესიები, რომლებიც ყველაზე პრობლემატურია, როგორც არსებული კადრების გადამზადების, ასევე ახალი კადრების პოვნის კუთხით.

კვლევამ გვიჩვენა, რომ არსებობს ძალიან დიდი მოთხოვნა ტექნიკურ პერსონალზე.